



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №244/18-1
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №238/23/244-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 16 იანვარს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული და გადაწყვეტილი იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, ისინი ისეა მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ, რომ არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები. კერძოდ, მოსამართლემ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. მოსამართლემ არ უზრუნველყო -- -- სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების გადასინჯვა სამართლიან ფორმებში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 22 მაისს მოსამართლის წინაშე დააყენა შუამდგომლობა პროცესის გადადების თაობაზე, რაც დააკმაყოფილა მოსამართლემ, რის შემდგომაც გადაიყვანეს სტაციონარში. მისი თქმით, ავადმყოფობიდან გამომდინარე დაავიწყდა შემდგომი სხდომის თარიღი - 2018 წლის 17 ივლისი, არ ახსოვს რაზე მოაწერა ხელი, თუმცა მისთვის არ გამოუგზავნიათ სასამართლოს უწყება სხდომის გადადების თაობაზე. აღნიშნულის გამო მისი და მისი ადვოკატის გარეშე ჩატარდა შემდგომი სხდომა და მიღებულ იქნა არაკანონიერი შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2015 წლის 04 ნოემბერს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტების და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2016 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2016 წლის 29 აგვისტოს. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2018 წლის 22 მაისს გაიმართა მორიგი სასამართლო სხდომა, რა დროსაც აპელანტმა -- -- ავადმყოფობის მიზეზით იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, რაც დააკმაყოფილა მოსამართლე -- -- და შემდგომი სხდომა დანიშნა 2018 წლის 17 ივლისს, რაც გამოცხადა სხდომის დახურვამდე.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 17 ივლისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მიერ განჩინებაზე და კანონის არასწორ განმარტებაზე, რასთან დაკავშირებითაც, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზით, უნდა ითქვას, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის შეფასებაც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია, ისევე როგორც დისციპლინური მსჯელობის საგანი ვერ გახდება მოსამართლის მიერ მტკიცებულებების, მოსაზრებების თუ მოტივების შეფასება/გაზიარება/არ გაზიარების საკითხი, რაც წარმოადგენს კანონიერების სფეროს.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ საჩივრი ავტორი (აპელანტი) ინფორმირებული იყო მორიგი სხდომის თარიღის და დროის შესახებ, სხდომის დროს იგი უშუალოდ მონაწილეობდა

თარიღის განსაზღვრაში, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა მორიგი სხდომის შესახებ.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად არ გამოიკვეთა მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 16 იანვრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 01 ოქტომბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი